ეს სურათები, რომლებიც სპორტის ოსტატმა ბ. კამენსკიმ გადაიღო, მოგვითხრობენ მოცურავეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე. ზედა სურათზე აღბეჭდილია ი. ჩუგუევსკაია, როცა იგი სტარტს იღებდა ზურგზე ცურვაში. ქვედა სურათზეა ორი გამარჯვებული 400 მ კომპლექსურ. ცურვაში. მეორე ადგილზე გამოსული ლ. ბერძენიშვილი ჩემპიონობას ულოცავს ე. შავდიას. (შეჯიბრების ანგარიში იხილეთ მე-3 გვ.).



9
ოქტომბერი

სამშაბათი,
1962 წ.
№ 199 (2048)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ. შჩელკანოვა პირველია სტუდენტთა შორის

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში სტუდენტთა შორის. ეს ტრადიციული შეჯიბრება მხოლოდ ერთ დღეს ტარდება. მასში მონაწილეობდნენ ბელგიის, ბულგარეთის, გდრ-ის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, შვეიცარიის, ჰოლანდიისა და საბჭოთა კავშირის სტუდენტი-სპორტსმენები. ჩვენი ქვეყნის ღირსებას ამ შეჯიბრებაში იცავდნენ ტ. შჩელკანოვა, ვ. ბრუმელი, ი. ტერ-ოვანესიანი, ვ. ლიპსნისი, გ. ჩევიჩალოვი და სხვ. მონაწილეთა შორის იყვნენ აგრეთვე ცნობილი სპორტსმენები, მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში რუმინელი ი. ბალაში, პოლონელები ე. კშესინსკა და ი. სიდლო, იტალიელები ლ. ბერუტი, ს. მორალე და სხვები.

დიდ წარმატებას მიაღწია შესანიშნავმა საბჭოთა მძლეოსანმა ტ. შჩელკანოვამ, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში 662 სანტიმეტრი უჩვენა და 9 სანტიმეტრით გააუმჯობესა მისივე მსოფლიო რეკორდი, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში ლაიპციგში დაამყარა. პირველი ადგილები და ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე სხვა საბჭოთა სპორტსმენებმა—ვ. ბრუმელმა სიმაღლეზე ხტომაში და ი. ტერ-ოვანესიანმა 100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში.

უკანასკნელი ტურის წინ

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაიმართა მეათე ტური.

ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა შეხვედრა. ყველაზე ადრე დამთავრდა სპასკი-ევანსის პარტია, სადაც საბჭოთა გროსმაისტერმა მეფეზე პირდაპირი იერიშით 25-ე სვლაზე გაიმარჯვა. ბენკო-პეტროსიანის პარტიაში ყაიმი იქნა ფიქსირებული, ხოლო დ. ბირნ-ტალის პარტია გადადებულია ტალის უპირატესობით.

მატჩის ცენტრალურ პარტიაში ბოტვინიკ-ფიშერს შორის შავებმა პირველად გამოიყენეს გრიუნფელდის დაცვა (სმისლოვის ვარიანტი). პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა და გადაიდო, სადაც ამერიკელ გროსმაისტერს ზედმეტი პაიკი აქვს ეტლების დაბოლოებაში.

უკანასკნელი ტურის წინ საბჭოთა კავშირის გუნდს აქვს 28 ქულა (2 გადადებული), იუგოსლავიას — 24,5 (1 გადადებული), აშშ-ს — 23,5 (2 გადადებული).

გუშინ დილით და საღამოს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ალბერტ ივანოვის „მემკვიდრე“

1957 წლის ივნისის ერთ საღამოს ალბერტ ივანოვმა ლუჟნიკის ცენტრალური სტადიონის სარბენ ბილიკზე 75 წრე დაფარა 1:35.01,0 დროში და 2,6 წამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 30 კილომეტრზე რბენაში.

მას შემდეგ ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ გადალახა საბჭოთა მორბენლის მიღწევა. მაგრამ აი 3 ოქტომბერს ბელგიის არცთუ დიდ ქალაქ ვარეგემში სტარტი აიღო ბელგრადში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელმა მარათონულ რბენაში, 30 წლის ორელ ვანდენდრისემ. ფინიშთან წამზომებმა აღნიშნეს 1:34.41,2 დრო. ეს მსოფლიოს ახალი რეკორდია.

გათამაშების ცხრილი

XIII-XXII ადგილები

მდგომარეობა 9 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	10	6	4	0	16—7	16
„დაუგავა“ (რიგა)	10	5	2	3	12—7	12
„ტორპედო“ (ქუთაისი)	10	4	3	3	14—11	11
„სპარტაკი“ (ერევანი)	10	4	3	3	14—13	11
„კაირატი“ (ალმა-ატა)	10	2	5	3	7—9	9
„დინამო“ (ლენინგრადი)	10	2	5	3	10—12	9
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	10	4	1	5	7—13	9
„ბელარუსი“ (მინსკი)	10	2	4	4	8—10	8
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	10	2	4	4	9—14	8
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	10	3	1	6	14—16	7

• • •

გუშინ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა იმ გუნდების კალენდარული მატჩები, რომლებიც იბრძვიან XIII-XXII ადგილებისათვის.

ალმა-ატაში თამაშობდა ადგილობრივი „კაირატი“ და ქუთაისის „ტორპედო“. მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ—0:0. შესვენების შემდეგ „კაირატის“ ფეხბურთელებმა წამოიწყეს მძაფრი შტურმი ტორპედოელთა კარზე. ერთ-ერთი შეტევა 53-ე წუთზე ძლიერი დარტყმით დაამთავრა ალმა-ატელთა მარჯვენა გარემარბმა კვოჩკინმა — 1:0. დარჩენილ დროში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის შეცვლა. „კაირატმა“ მეორე გამარჯვება მოიპოვა ფინალში.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია:

„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)-„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 3:2, „დაუგავა“ (რიგა)-„დინამო“ (ლენინგრადი)—2:0, „სპარტაკი“ (ერევანი)-„ბელარუსი“ (მინსკი) — 2:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი) — 2:0 (ეს მატჩი გაიმართა ვოლგოგრადში).

სპორტული პრესისა და რადიოს საკავშირო ფედერაციაში

სპორტული პრესისა და რადიოს საკავშირო ფედერაციის მორიგი სხდომა მიეძღვნა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ფრენბურთში. სხდომას ესწრებოდნენ ცენტრალური და მოსკოვის გაზეთების, საქდესის, „ნოვოსტის“ სააგენტოს, რადიოსა და ტელეხედვის სპორტული მიმომხილველები. მოსმენილ იქნა ინფორმაცია იმ ქალაქებში, სადაც მსოფლიო პირველობის მატჩები ტარდება პრეს-ცენტრების მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე სხვა საკითხები, რომელთა შორის იყო ცენტრალური და ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქების ტელეცენტრების სპორტული რედაქციების მუშაობისადმი მიძღვნილი პლენუმის ჩატარების საკითხი.

დინამოელთა ასპარეზობა დამთავრდა

გასულ კვირას დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ჩოგბურთში. ქალთა ერთეულებში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მოსკოველმა ა. დმიტრიევამ. მან ფინალში დაამარცხა კიეველი გ. ბაკშეევა. III ადგილი წილად ხვდა ლატვიელ სატიკას. ვაჟთა ერთეულებში როსტოველი სივოხინისა და მოსკოველი ეგოროვის ფინალური ორთაბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა. აქ მესამე ადგილზეა ნოვიკოვი (მოსკოვი), რომელმაც ეს საპრიზო ადგილი ესტონელ პარმასთან შეხვედრის მოგებით მოიპოვა.

შერეულ წყვილთა ფინალში გავიდა ორი ძლიერი „დუეტი“ — დმიტრიევა-ეგოროვი და ბაკშეევა-მოზერი. პირველების თამაშის ტაქტიკური გეგმა მეტოქეებისაზე უფრო რაციონალური გამოდგა და საბოლოო გამარჯვებაც დმიტრიევა-ეგოროვის წყვილს დარჩა. მესამე-მეოთხე ადგილებისათვის ბრძოლაში აბჯანდაძე-მეტრეველმა დამარცხება განიცადეს სატიკა-სივოხინთან და მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ქვემოთ მოგვყავს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მიერ განვლილ ტურნირზე დაკავებული ადგილები:

ქალები (ერთეულებში) აბჯანდაძე — IX ადგილი, თუხარელი— XIII ადგილი, მინაევა — XVII ადგილი, ტიმაშჩუკი — XX ადგილი (ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში მონაწილეობდა სულ 23 სპორტსმენი). ქალთა წყვილების შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ვაჟები (ერთეულებში): ა. მეტრეველი — V ადგილი, მძინარიშვილი — VII ადგილი, მუსაელიანი — XI ადგილი, ახალაძე — XIII ადგილი, პ. მეტრეველი — XVII ადგილი, ლუკაშვილი — XXIII ადგილი, სენჩუროვი — XXIX ადგილი (ვაჟთა ერთეულების შეჯიბრებაში მონაწილეობდა 44 სპორტსმენი).

ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაზე ა. მეტრეველმა და ნ. მძინარიშვილმა I ადგილი მოიპოვეს. შერეულ წყვილებში რ. აბჯანდაძემ და ა. მეტრეველმა IV ადგილი დაიკავეს.

• • •

სურათებზე: მარცხნივ—ა. დმიტრიევა, მარჯვნივ — რ. სივოხინი.

ფოტო ი. იუნაევისა.



შეჯიბრება გრძელდება

ამიერკავკასიის რკინიგზაზე ტვირთზიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სამტრედიის კვანძის მუშაკებს, ისინი მატარებლების სწრაფად შედგენის, მძიმე წონის შემადგენლობათა ტარების ოსტატებად არიან ცნობილნი და ამ წარმატებაში თითქმის ერთნაირი დამსახურება აქვს კვანძის ყველა 16 ორგანიზაციას, რომლებიც უერთმანეთოდ არ ვარგანან და მაინც ურთიერთში თავისებური ჭიდილი აქვთ გამართული არა მარტო შრომის, არამედ სპორტული ცხოვრების ასპარეზზეც, მაგრამ მჯობნის მჯობნი არ დაილევა და ჩვენც სწორედ ერთი იმათგანის შესახებ გვსურს ვისაუბროთ, რომელმაც თავი ისახელა როგორც შრომის, ისე მასობრივ - ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების დარგში — სალოკომოტივო დეპოს ადამიანებზე.

როცა ჩვენს ქვეყანაში დაიბადა კომუნისტური შრომის ბრიგადის, საამქროს, განყოფილების სახელისათვის მებრძოლი პირველი ერთეულები, სამტრედიის სალოკომოტივო დეპოშიც დაფიქრდნენ: რითი ვართ სხვაზე ნაკლები, რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ჩვენს ტოლებს, რატომ არ უნდა ვცადოთ შევეჯიბროთ დაწინაურებულებს. და ორთქლმავლების აწევისა და მიმდინარე შეკეთების, აგრეთვე დამამზადებელმა საამქროებმა გადაწყვიტეს ჩაბმულიყვნენ ამ საპატიო სახელისათვის მებრძოლთა რიგებში.

შრომა არ აშინებდათ დეპოელებს. შრომაში დავაჟკაცებულებს კიდევ უფრო მეტ ხალისს მატებდა ახლის ძიება, ვალდებულებით ნაკისრი პუნქტების განაღდებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, ოღონდ ეგ იყო, რატომღაც ფიზკულტურული მუშაობა ვერ დაეყენებინათ სწორ გზაზე.

—მაშინ ისევ დეპოს უფროსმა მ. ჭანჭალეიშვილმა თქვა თავისი სიტყვა, მხარი დაუჭირა აქტივმა და ფიზკულტურელთა საქმიანობაში თანდათან სადღაც გაჰქრა ხარვეზებიც. ფიზკულტურელთა რიცხვმა 200-ს მიაღწია, უფრო ნაყოფიერი გახდა ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, სროლის სექციების საქმიანობა, იმდენად ნაყოფიერი, რომ აქაური სპორტსმენები ახლა ტოლს აღარავის უდებენ არამარტო კვანძზე, არამედ ხშირად განყოფილებაშიც.

ყველაფერი კი საზოგადოებრივი კადრების თავდადებული შრომის შედეგია. ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტ მერი ადამიას უნარიანობამ სხვებიც აიყოლია. ქალის მაგალითმა შთააგონა ფეხბურთელი შ. ქანთარია, რომელიც ამწევ საამქროში ზეინკლად მუშაობს და ყოველდღიურ გეგმებს 130-140 პროცენტით ანაღდებს, ფეხბურთელთა გუნდს ჩადგომოდა სათავეში. მისმა გაწვრთნილმა გუნდმა არავის დაუთმო პირველობა კვანძზე.

ფრენბურთელებს სათავეში ჩაუდგა ელექტროსაამქროს ზეინკალი ა. ყვინჩია და არც ამ სახეობის წარმომადგენლები ჩამორჩნენ ფეხბურთელებს. მათ კვანძის ჩემპიონატში მეორე გამარჯვება მოუტანეს სალოკომოტივო დეპოს ფიზკულტურულ კოლექტივს. მაგიდის ჩოგბურთელების წვრთნა მოწინავე ზეინკალმა, III თანრიგოსანმა ა. ზამთარაძემ იკისრა, ხოლო მისმა სპორტსმენმა ს. გეგეჭკორმა განყოფილების ჩემპიონობას გამოჰკრა ხელი. მისი თანაგუნდელი ვ. სანაძე კი სამტრედიის ჩემპიონი გახდა და სხვ.

სათანადო განვითარება ჰპოვა საწარმოო ტანვარჯიშმაც. მობრძანდით სალოკომოტივო დეპოს რომელ საამქროშიც გნებავთ და მუშაობის დაწყებამდე ყოველთვის ნახავთ დეპოელებს, რომლებიც ხალისით ასრულებენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშებს. ერთი სიტყვით, სპორტი ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაიქცა.

დეპოში სპორტის ამაღლებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კომუნისტური შრომის საამქროს სახელისათვის მებრძოლებმა სპორტშიც გააჩაღეს შეჯიბრება. განსაკუთრებით სპორტული აღმოჩნდა ელექტროსაამქრო. მის უფროსს ა. გოგიშვილს არაერთხელ უთქვამს ფიზსაბჭოს თავმჯდომარე ი. ხონელიძისათვის:

—იცოდე, არავის არაფერში დავუთმობთ პირველობას!—და მართლაც, სამტრედიის სალოკომოტივო დეპოში ელექტროსაამქროს 32-კაციან კოლექტივს, რომელთა შორის 18 სპორტსმენია, ერთ-ერთ პირველთაგანს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის საამქროს წოდება.

ყოველ დილით, ყოველი ცვლის დაწყებისას საამქროში მიმავალთ შესავლის თავზე გამოკიდებული წარწერა—„კომუნისტური შრომის საამქრო“ მოაგონებს, რომ ამ დღესაც გაორკეცებული ენერგიით მართებთ შრომა, რათა ვადაზე ადრე გამოუშვან შეკეთებიდან ელმავალი, რომელიც დროზე ადრე ჩაიტანს ახალ ტვირთს დანიშნულების ადგილზე, რომ სპორტში შემდგომი დაოსტატება საამქროს შეანარჩუნებინებს სალოკომოტივო დეპოში უძლიერესი ფიზკულტურული ჯგუფის სახელს. ისინი ხომ დეპოს ჩემპიონები არიან ფრენბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში და ათამდე სპორტსმენი დეპოს ნაკრებშია დამკვიდრებული.

შეჯიბრება გრძელდება. ახლა დეპოელი ახალგაზრდები საკუთარი ძალებით აგებენ ფრენბურთისა და კალათბურთის ახალ კომბინირებულ მოედანს და მალე პირველი ბურთიც ავარდება ჰაერში ახალ მოედანზე, კვანძს კი კიდევ ერთი სპორტული ბაზა შეემატება.

ო. გელაშვილი,

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

III სპარტაკიადის მთავარი მიზანია
ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობა!

საქართველოს III სპარტაკიადის სტარტზე

ერთ წელზე ნაკლები დრო დარჩა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადამდე. ამ ღონისძიებაში წარმატებით მონაწილეობისათვის კარგა ხანია დაიწყო მზადება ჩვენს რესპუბლიკაში. მოხდა ძალთა პირველი შემოწმებანი, როცა რაიონულმა სპორტკავშირებმა ჩაატარეს თავიანთი სპარტაკიადები, ხოლო ერთი კვირის წინათ დაიწყო ზონალური სპარტაკიადები, რომლის პროგრამაშია ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ძალოსნობა, ქართული ჭიდაობა, ველოსპორტი, სროლა. წინა ზონალური სპარტაკიადისაგან განსხვავებით, ამჯერად შეჯიბრებანი სახეობათა მიხედვით ტარდება რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში.

სპარტაკიადები მიმდინარეობს აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთშიც. აჭარაში დასასრულს უახლოვდება ბათუმის რაიონის სპარტაკიადა. უკვე დაამთავრეს თავიანთი შეჯიბრებანი „განთიადის“ საოლქო საბჭოს სპორტსმენებმა, შეჯამდა ბათუმის საქალაქო სპარტაკიადის შედეგები, სადაც გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ „განთიადის“, „დინამოსა“ და „სპარტაკის“ გუნდები. ბათუმის საწარმოო კოლექტივებს შორის დაწინაურდნენ „განთიადის“ ორგანიზაციები. გემთმშენებლებმა პირველობა მოიპოვეს მძლეოსნობაში, ცურვაში, მე-5 სამკერვალო ფაბრიკამ — ველოსპორტში, ხოლო ქარხანა „ელექტროკარის“ წარმომადგენლებმა — ძალოსნობაში.

ახალქალაქში დამთავრდა III რაიონული სპარტაკიადა, რომლის სტარტზე გამოვიდა 2 ათასზე მეტი სპორტსმენი. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, განათლების განყოფილებისა და სხვათა სპორტსმენები, ფიზკულტურული კოლექტივები. ფრენბურთელ და კალათბურთელ ვაჟთა ტურნირში უძლიერესნი იყვნენ განათლების განყოფილების სპორტსმენები, სამაგიეროდ, ქალთა შორის ორივე სახეობაში პირველობა სპარტაკელებს დარჩათ.

* * *

სურათებზე: ზევით — „სპარტაკისა“ და განათლების განყოფილების ვაჟთა გუნდების შეხვედრა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მოსწავლეებმა. ქვევით — ველოსიპედისტები 25 კმ-ზე რბოლაში.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

≈ ◆ ≈

სამი ტურის შემდეგ

6 ოქტომბერს ქუთაისის კალათბურთის სტადიონზე დაიწყო საქართველოს III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში პირველი ზონის (დასავლეთ საქართველოს რაიონების) გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობს 19 რაიონი 140-მდე სპორტსმენით.

უმჩატეს წონაში პირველი ადგილის მოპოვების კარგი შესაძლებლობა აქვს ონელ ლობჟანიძეს, რომელსაც სამი შეხვედრიდან სამი გამარჯვება აქვს, მას ერთი საჯარიმო ქულით მიყვება კვალდაკვალ თხელიძე (წულუკიძე), რომელსაც აგრეთვე სამი გამარჯვება აქვს.

მჩატე წონაში სამ-სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვეს ონაშვილმა (ცხაკაია) და კვინიკაძემ (ორჯონიკიძე).

ქვემსუბუქ წონაში ყველა წმინდა გამარჯვება აქვს მახარაძელ კვასტიანს. თითო-თითო საჯარიმო ქულა მიიღეს ჯ. ნოზაძემ (ორჯონიკიძე) და სამტრედიელმა თათრაშვილმა.

მომდევნო წონით კატეგორიაში საქართველოს გასული პირველობის პრიზიორმა ჯანიაშვილმა (ზესტაფონი) სულ 1 წუთი და 43 წამი მოანდომა სამი მეტოქის — თოლორდავას (ჩხოროწყუ), მიქელაძის (აბაშა) და ერისთავის (ამბროლაური) დამარცხებას,

საინტერესო ფინალია მოსალოდნელი ქვესაშუალო წონაში. აქ პირველი ადგილისათვის იბრძვიან გ. გაპულდანი (მესტია) და ჯ. მაისურაძე (ონი). თითოეულს სამ-სამი წმინდა გამარჯვება აქვს მოპოვებული.

ასეთივე შედეგები აქვს სამი წრის შემდეგ საშუალო წონის მოჭიდავეს ზ. გობეჯიშვილს, რომელმაც დაამარცხა ნინიძე (ლანჩხუთი), დაბრუნდაშვილი (წულუკიძე) და ახალაია (მახარაძე).

ქვემძიმე წონაში ლიდერობს კუპუხიძე (აბაშა), რომელსაც არცერთი საჯარიმო ქულა არა აქვს სამი შეხვედრიდან. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება სამტრედიელი ხიდაშვილი.

მძიმე წონაში სამი შეხვედრიდან პირველ ადგილზე მიდის მესტიელი სპორტის ოსტატი დ. ჩხეტიანი.

შეჯიბრება გრძელდება.

ქ. ნინიაშვილი,
ლ. ფაჩუაშვილი.

ჯერ მხოლოდ ერთი რეკორდი

◆

საქართველოს 1962 წლის პირველობა ცურვაში

◆

კვირას თბილისის საზაფხულო საცურაო აუზში დაიწყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ცურვაში. ესაა სეზონის უკანასკნელი სტარტი ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეებისათვის. ხუთდღიანი ბრძოლები ცხადყოფენ, თუ რა რეზერვები გაგვაჩნია ხალხთა III სპარტაკიადისათვის, სად, ვის, რომელ სახეობაში დაჭირდება მეტი მუშაობა ხარვეზების დასაძლევად.

გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩაება 200-ზე მეტი სპორტსმენი. შეჯიბრება ტარდება გოგონათა, ჭაბუკთა, ქალთა და ვაჟთა ჯგუფებისათვის ცალ-ცალკე.

პირველ დღეს მოეწყო ფინალები 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, რომელიც ერთ-ერთ ურთულესად ითვლება. გოგონათა შორის ფინალის სტარტზე გამოვიდა 6 სპორტსმენი. აქ საუკეთესო იყო 14 წლის თბილისელი ნ. ქიგალიოვა — 6:54,8, მეორე ადგილი წილად ხვდა მის თანაგუნდელ ნ. პეტრიაშვილს — 7.34,2, აჭარის გუნდის წევრი ა. კონდაკოვა მესამე ადგილით დაკმაყოფილდა — 7.48,9.

როცა ბრძოლაში ჩაებნენ ჭაბუკები, აშკარა გახდა, რომ გაუმჯობესებული იქნებოდა რესპუბლიკური რეკორდი და მართლაც თბილისელმა ა. იოაკიმიდიმ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში აჩვენა 5.49,9, რაც 2,3 წამით აღემატება ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ახალი რეკორდის მფლობელს 45 წამით ჩამორჩა ვ. ჭელიძე (თბილისი). აჭარის გუნდის წარმომადგენელი გ. ცხოიძე მესამე ადგილზე გამოვიდა. სამწუხაროდ, დისტანციის არაზუსტად გავლის გამო 6 სპორტსმენი მოიხსნა შეჯიბრებიდან.

ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონობა დარჩა ე. შავდიას (თბილისი) — 6.37,5. ლ. ბერძენიშვილი (თბილისი) და ს. ხაირულინა (აჭარა) გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

ვაჟთა შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა რესპუბლიკის რეკორდსმენი ბ. ნიკიტინი, რამაც გამარჯვება საგრძნობლად გაუადვილა თბილისელ ვ. ბოგდანოვს — 5.46,5. ე. ხიმჩიანმა (თბილისი) წააგო 2,8 წამით. აფხაზეთის გუნდის წევრს ვ. ზლობინს დარჩა მესამე ადგილი — 6.03,8.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

ოლიმპიური ნაკრები ცდის ძალებს

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირს ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ესტუმრა მაროკოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. სტუმრებს საერთაშორისო ტურნირების კარგი გამოცდილება აქვთ. საკმარისია ითქვას, რომ ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარ შეხვედრებში მათ დაძაბულ ბრძოლაში დაუთმეს ადგილი ესპანელებს. მაროკოს ნაკრებმა წააგო ორივე მატჩი მინიმალური ანგარიშით (0:1 და 2:3).

მაროკოს ახალი ნაკრები ამჟამად ემზადება ოლიმპიური თამაშებისათვის და სწორედ ამ მიზნით ეწვია იგი საბჭოთა კავშირს. ორი ოლიმპიური გუნდის (მაროკოსა და საბჭოთა კავშირის) შეხვედრა გაიმართა გასულ კვირას კიევში.

საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ: კოტრიკაძე; შჩეგოლკოვი, რიაბოვი, დანილოვი; საბო, ტურიანჩიკი; ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, სევიდოვი, იამანიძე (ორეშნიკოვი), ლობანოვსკი.

ანგარიში მე-10 წუთზე გახსნეს სტუმრებმა, მაგრამ სულ მალე საბჭოთა ნაკრებმა გაათანაბრა იგი. გოლი გაიტანა სევიდოვმა დანილოვის მიწოდების შემდეგ. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1.

შესვენების შემდეგ ინიციატივა მთლიანად საბჭოთა ფეხბურთელების მხარეს გადავიდა. 52-ე წუთზე ორეშნიკოვმა ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. აქ იგი მოხვდა მაროკოელთა ერთ-ერთ მცველს და გავიდა კარში — 2:1. თამაშის დამთავრებამდე სტუმრებმა კიდევ ერთხელ დაიწყეს თამაში ცენტრიდან. ბურთი გაიტანა სევიდოვმა.

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების დებიუტმა საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით ჩაიარა. მან გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.



თბილისში, მდინარე მტკვარზე გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქისა და მცხეთის სპორტსმენთა სამატჩო-საჩვენებელი შეხვედრა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რამაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. ამგვარ ღონისძიებათა რეგულარული ჩატარება ხელს შეუწყობს ნიჩბოსნობის შემდგომ აღმავლობას საქართველოში.

სურათზე: ოთხადგილიანი ნავებით დისტანციაზე.

თბილისელთა უპირატესობით

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში

◆

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დარბაზში ერთ კვირას გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის. სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის, რუსთავის, წყალტუბოსა და გორის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე ქალთა შორის გამოვიდა თბილისის I გუნდი, მეორე ადგილი მოიპოვა ბათუმის ნაკრებმა, მესამე ადგილზე გამოვიდა თბილისის II გუნდი. ვაჟთა შორის კვლავ თბილისის I გუნდმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი, მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის II კოლექტივი, ხოლო მესამეზე — ბათუმის ნაკრები.

პირად პირველობაზე ქალთა შორის ფინალამდე დაუმარცხებლად მივიდნენ ბათუმელები — საქართველოს ჩემპიონი ს. პარფინიდი და ლ. ავდალიანი. შეხვედრა ანგარიშით 2:0 (21:17, 21:15) მოიგო უფრო გამოცდილმა პარფინიდმა, მესამე ადგილზეა თბილისელი ა. სუჯაშვილი.

ვაჟთა შორის პირველი ადგილის ბედი კვლავ ბათუმელებს შორის გადაწყდა. სარხოიანმა ჯერ კიდევ ნახევარფინალში დაამარცხა საქართველოს ნაკრების წევრი ნ. ჯაფარიძე, ხოლო ვ. ოვაკიმიანმა — სპორტის ოსტატი რ. კუდაშვილი. სარხოიან-ოვაკიმიანის შეხვედრას უნდა გამოევლინა ჩემპიონი. პირველი პარტია 21:12 მოიგო ოვაკიმიანმა, მეორე პარტია ასეთივე ანგარიშით მოიგო სარხოიანმა, ხოლო მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა 21:16 მოიგო ვ. ოვაკიმიანმა და პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი. მეორეზე გამოვიდა გასული წლის ჩემპიონი ს. სარხოიანი. მესამე ადგილი მოიპოვა თბილისელმა ნ. ჯაფარიძემ, რომელმაც მოუგო რ. კუდაშვილს.

აღსანიშნავია, რომ პარფინიდი, ავდალიანი, სარხოიანი და ოვაკიმიანი მწვრთნელ კ. გუგუშვილის აღზრდილები არიან.

ქალთა წყვილებიდან ფინალში კვლავ ბათუმელები შეხვდნენ. ს. პარფინიდიმ და ლ. ავდალიანმა ანგარიშით 2:0 (28:26 და 21:10) მოუგეს თანაგუნდელებს კ. ლევინასა და ა. მურადიანს. მესამე ადგილი მოიპოვეს თბილისელებმა — ქ. ხურშუდიანმა და ქ. სუმინამ.

შერეულ წყვილთა შორის საქართველოს ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდნენ თბილისელების — ქ. ხურშუდიან-რ. კუდაშვილისა და ბათუმელების — ს. პარფინიდი-ს. სარხოიანის წყვილები. პირველი პარტია, რომელიც მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, დამთავრდა ანგარიშით 25:23 თბილისელთა გამარჯვებით. მეორე — ანგარიშით 21:18 მოიგეს ბათუმელებმა, ხოლო მესამე პარტია კვლავ თბილისელებმა მოიგეს (21:10) და მასთან ერთად მოიპოვეს ჩემპიონის სახელი. მესამე ადგილი თბილისელებმა — ლ. კოვალენკომ და ა. ჭეხაშვილმა მოიპოვეს.

ვაჟთა წყვილებში რ. კუდაშვილ-გ. გრიგოლიას პირისპირ იდგა ბათუმელების — ს. სარხოიან-ვ. ოვაკიმიანის წყვილი. პირველი პარტია ანგარიშით 21:18 მოიგეს თბილისელებმა, მეორე — ანგარიშით 21:19 — ბათუმელებმა, ხოლო გადამწყვეტი პარტია, კვლავ თბილისელებმა მოიგეს (21:17) და ჩემპიონის ტიტული არავის დაუთმეს. მესამე ადგილზე გამოვიდნენ სოხუმელები—ა, ბარბოი და ვ. თურქია.

გ. ჟანტურია

ფილმი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ

დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ დაამთავრა მუშაობა სპორტულ კინონარკვევზე— „ამბავი ოქროს ქალღმერთზე“, ოპერატორები მ. ოშურკოვი, ი. მანგლოვსკი და სპორტის ოსტატი ბ. ნაბოკოვი იმყოფებოდნენ არიკასა და სანტ-იაგოში, გადაიღეს ჩემპიონატის მატჩები.

ფილმი ორნაწილიანია, მაგრამ იგი ძალზე საინტერესოა და მაყურებელი მისგან დიდ სიამოვნებას მიიღებს.

საერთაშორისო მატჩი რუსთავში

◆

რუსთავი. 7 ოქტომბერი.

„მეტალურგი“ (რუსთავი)-„ტაჯი“ (ირანი) — 2:1 (2:0).

„ტაჯი“ — ტიუპჩი; რანჯმარი, კული-ზადე, კარაპეტიანი; მოხეჯერანი, ხაბიბი; იაზდანიანი, აფშარი, ნაიარლუ, ჯამალი, ჯედიკარი.

„მეტალურგი“ — ადამოვი; გალოიანი, დუდნიკოვი, ხვედელიძე; ანთიძე, რამიშვილი; ჯავახიშვილი, ხაბეიშვილი, ყოჩიაშვილი, ჭკუასელი, ქურციკიძე.

მსაჯი მ. ამბარცუმიანი (ერევანი).

◆

ირანის ფეხბურთელთა საუკეთესო გუნდის—„ტაჯის“ მატჩმა რუსთავის სპორტისმოყვარულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და წინასწარ უნდა ითქვას, რომ მათი მოლოდინი სავსებით გამართლდა. შეხვედრა გამოდგა მეტად ტემპიანი, ცოცხალი, აღსავსე ორმხრივი საინტერესო მომენტებით.

პირველი ნახევრის, განსაკუთრებით კი პირველი 20 წუთის მიხედვით, სტუმრებს კარგი არაფერი ელოდათ ამ მატჩში. რუსთავის ფეხბურთელებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს მოწინააღმდეგეს და დასაწყისშივე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს.

მასპინძლებმა თავიანთი გეგმის გასახორციელებლად აირჩიეს ცენტრალური ზონა, სადაც მორიგეობით გაჰყავდათ ორი ყველაზე უფრო საშიში და აგრესიული თავდამსხმელი—ხაბეიშვილი და ყოჩიაშვილი. სტუმრებმა ალღო ვერ აუღეს რუსთაველთა მაღალ ტემპს, განსაკუთრებით მცველებმა. ისინი დროზე ვერ იხევდნენ თავიანთი საჯარიმო მოედნის სიღრმეში და ამით „მეტალურგის“ თავდამსხმელებს მანევრირების საშუალებას აძლევდნენ. ცენტრალური სამეულის მოქმედებას აქტიურად უწყობდნენ ხელს გარემარბები, განსაკუთრებით კი ქურციკიძე, რომელიც ადვილად იმარჯვებდა კარაპეტიანთან ორთაბრძოლაში.

საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას არ შეიძლებოდა ბოლოსდაბოლოს თავი არ ეჩინა ანგარიშშიც და აი მე-8 წუთზე გარღვევაზე უბურთოდ გასულმა ყოჩიაშვილმა დროზე მიიღო გადაცემა საჯარიმო მოედნის მახლობლად და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0

შვიდი წუთის შემდეგ სურათი განმეორდა და ყოჩიაშვილმა მეორედ შეარხია სტუმრების კარის ბადე. ამის შემდეგ „მეტალურგის“ ფეხბურთელებს ჰქონდათ გოლის გატანის კიდევ რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში ტაიმის დასასრულამდე არ გაზრდილა თავდამსხმელთა არაზუსტი დარტყმების გამო.

როგორც ჩანს, მასპინძლები შეეგუენ აზრს იოლი მოგების შესახებ და ამიტომ მეორე ტაიმი ზერელედ დაიწყეს. ირანელი ფეხბურთელები თითქოს გარდაიქმნენო, მათ საგრძნობლად გაამწვავეს თამაში და, როგორც ამბობენ, „დასახლდნენ“ მასპინძლების საჯარიმო მოედანზე. „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა მთელი მეორე ტაიმი დაცვაში გაატარეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე ეპიზოდურ კონტრშეტევას, რომელსაც არაფერი რეალური არ მოჰყოლია.

მეორე ტაიმის 29-ე წუთზე სტუმრების მარცხენა გარემარბმა ჯედიკარმა გაქვითა მხოლოდ ერთი ბურთი და მატჩი დამთავრდა რუსთავის „მეტალურგის“ გამარჯვებით — 2:1. არ შეიძლება არ აღინიშნოს მასპინძლების მეკარის კარგი თამაში, რომელმაც არაერთხელ იხსნა გუნდი აშკარა გოლისაგან.

ლ. ფაილოძე

...

სურათზე: რუსთავის „მეტალურგისა“ და ირანის „ტაჯის“ შეხვედრის მომენტი.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.



თბილისის სამხატვრო გალერეაში გაიხსნა საქართველოს მხატვართა საშემოდგომო გამოფენა.
სურათზე: ი. პეტრაკოვსკაიას ნამუშევარი — ნ. გაფრინდაშვილის პორტრეტი (ნახშირი).

დიდების გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრბანტიანი მახსოვს იგი და ცეცხლით სავსე,
როცა წავიდა და ოთხი ძმის ფიქრი რომ გაჰყვა...
მერე თამამად შეაბიჯა დიდების გზაზე
და არც კი იცის ახლა უკვე რამდენი ძმა ჰყავს.

ნეტავ თუ იცის რამ აავსო თბილისი ლხენით,
თბილი ღიმილით რომ ელიან შეხვედრას ახლა,
რომ მადლიერად შესცინებენ მთებიც და ხენიც,
დიდ გამარჯვებას სიხარულიც დიდი რომ ახლავს...

მსურს იმ გოგონას კვლავ შევხედო მეგობრის თვალით,
ეს სიხარული დიდხანს ალბათ არ დასრულდება:
საქართველოდან გავაცილეთ პატარა ქალი,
ალბათ მსოფლიოს ჩემპიონი დაგვიბრუნდება...

ო. მოდებაძე

ლეგენდის სათავე

ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართველ ფალავანთა შორის ალექსი ტაბუცაძეს ძლიერ მოჭიდავედ თვლიდნენ. იგი წარმატებით გამოდიოდა კავკასიის, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და სხვა ქვეყნების სარბიელებზე. კახეთში, კერძოდ, ლაგოდეხის რაიონში, სადაც ა. ტაბუცაძე ცხოვრობდა, მოსახლეობა ბევრ ლეგენდად ქცეულ ამბავს ინახავს ამ ფალავანზე. ერთ-ერთი ასეთი ამბავია მოთხრობილი ა. ციბაძის მოთხრობაში „ლეგენდის სათავე".

საოპერაციოდან ფერმიხდილი, ბრგე ბერიკაცი შემოიყვანეს პალატაში. ჰაღარა თმა სიმწრის ოფლს დაესველებინა... მხოლოდ შუაღამისას მოვიდა გონს.

— შენი სახელი, ძმობილო! — მოესმა მეზობლის ნერვიული ხმა.

— ლაგოდეხელი ტაბუცაძე ვარ, ლუქსო!

— შუაზე აუჩეხიხარ დასტაქარს; რამ გაგაბედინა? — მოესმა ისევ.

— მე ვინ მკითხა, — თქვა ლექსომ და მისი ხმა დედამიწის სიღრმიდან სუსტად ამოღწეულ ყრუ გუგუნად გაისმა, — ძმა-კაცს, მაქსიმე რეხვიაშვილს ვეხმარებოდი ბინის მშენებლობაზე; საძალაყინე მუხა მხრით ჩამოვუტანე ტყიდან, ჩამოვუტანე და გულ-მუცელში რაღაც ჩამწყდა. ხელადა სისხლი ვანთხიე; მერე თვითმფრინავით ჩამომიყვანეს თბილისში. შენ კი რა მოგსვლია, მეგობარო!

— სიკვდილი მიახლოვდება. — იყო პასუხი. მერე არაადამიანურად დაიყვირა:

— არა, მეტს ველარ მოვითმენ! ლოგინიდან წამოხტა და ღია სარკმელს მიაშურა. ზედ შედგა... და ამ დროს ვიღაცის ხელებმა ჰაერში აიტაცა, ჯერ ციმციმ მიიყვანა საწოლამდე, შემდეგ კი ზედ მიაკრა მკლავებით.

— რას სჩადით, ტაბუცაძე! — იყვირა პალატაში შემოსულმა მთავარმა ექიმმა.

— უშველეთ, ფანჯრიდან გადახტომას აპირებს! — ფეხზე წამოდგა ლექსო და მისი მტკაველ-ნახევრიანი ჭრილობიდან სისხლმა ნაკადულივით ითქრიალა.

ვერაფერი უშველეს, სისხლისაგან დაიცალა ბერიკაცი. მთავარ ექიმს დამიძახეთო, ითხოვა სიკვდილის წინ.

— ექიმო, — დაიწყო ლექსომ, როცა მარტონი დარჩნენ,—ვკვდები, მაგრამ ჩემი პირველი სიკვდილი უფრო მწარე იყო!

— პირველი სიკვდილი? — გაიკვირვა ექიმმა.

— დიახ, მე პირველად მაშინ მოვკვდი, როდესაც ერთმა, არ ვიცი როგორ გითხრათ, ვაჟკაცისათვის თავზარდამცემმა ამბავმა სამუდამოდ დამატოვებინა საჭიდაო სარბიელი. დღენიადაგ მსაყვედურობდნენ ამხანაგები: „ბიჭო ლექსო, აფსუსია შენი ჯანის პატრონმა ჭიდაობა მიატოვოს, ჯერ კიდევ ბევრ ფალავანს გალახავო", მაგრამ ვთქვი და შევასრულე, ახლოს აღარ გავკარებივარ საჭიდაო სარბიელს. ამხანაგებს, ყველაზე მეტად კი ახლო მეგობარს მაქსიმე რეხვიაშვილს უფრო ის აწუხებდა, რომ მათთვის უცნობი იყო ჩემი ასეთი საოცარი გადაწყვეტილების მიზეზი. არავისთვის მითქვამს. მე მოუსვენარი ცხოვრება გადავიტანე, არ მინდა სიკვდილს ჩუმად შევხვდე. ყველაფერს მოგიყვებით. შემდეგ მაქსიმეს (გუმანით ვგრძნობ, რომ იგი საავადმყოფოს კარებთან იცრემლება) უამბეთ.

ექიმმა ოფლი მოწმინდა ალექსის და სასთუმალი შეუსწორა.

— ცნობილი გოლიათი კოსტა მაისურაძე ცოცხალი რომ იყოს, — განაგრძო ალექსიმ. — ის უკეთ გეტყოდათ ჩემი ფალავნობის ამბავს; ბევრჯერ გვისინჯია ერთმანეთი სარბიელზე. ბევრი ცნობილი მოჭიდავე დავჯაბნე, მაგრამ ჩვენს გაჭირვებას ჭიდაობა ვერ შველოდა. ლუკმა-პურის ძებნამ პირველი მსოფლიო ომის წინ ამერიკაში მომახვედრა. ჩემთან ერთად ორმოციოდე ალაგირელი ქართველიც იყო. სამი წელი ვიმუშავეთ რკინიგზის მშენებლობაზე, მაგრამ ვერც ამ სამოთხედ დახატულ ქვეყანაში ვპოვეთ ბედნიერება. დროდადრო პროფესიონალ მოჭიდავეთა შორის გავერეოდი და აღებული თანხა მიმქონდა თანასოფლელებთან.

ბოლოს დამთავრდა რკინიგზის მშენებლობა და ერთხმად გადაწყდა სამშობლოში დაბრუნება. ჩვენმა საერთო მოლარემ მაქსიმემ აიღო ბილეთები ბათუმამდე მიმავალ გემზე. იგი ხასიათწამხდარი დაბრუნდა.

— ბილეთები ქვე ევიღე, — მოუქცია რაჭულად მაქსიმემ, — მაგრამ სამშობლოში ცოცხლები ვერ ჩავაღწევთ!

— როგორ,—შევიცხადეთ ჩვენ.

— გროშიც აღარ დაგვრჩენია: ერთი თვე გზაში ჭამა არ გვინდა?

ტყუილად არ შეშფოთებულა მაქსიმე; ფული რომ არ გვეშოვა, ამ ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენა გველოდა. სახლში ყველას მოელოდა მშობლები, ცოლ-შვილი, საყვარელი ადამიანები...

გადავწყვიტე მეცადა ბედი... მეგობრებისაგან ფარულად პროფესიონალთა ცირკის-კენ გავეშურე. ზედიზედ სამი შეხვედრის მოგების შემთხვევაში შემეძლო საკმაო თანხის მიღება, მაგრამ სწორედ აქ შემხვდა ის, ვის გამოც გადაწყვეტილი მქონდა ამერიკაში დროებით დარჩენა. იგი ჩემი ნაცნობი პროფესიონალი მოჭიდავის — ჯორჯის და იყო. მას ძმასავით ახოვანი, მაგრამ საოცრად მოხდენილი ტანი ჰქონდა.

ა. ტაბუცაძე

—ჭიდაობას ხომ არ აპირებთ, ქართველო. — მკითხა მან.

— ვაპირებ!

— მაშ თქვენ ჯორჯთან მოგიწევთ შებმა!

არ მესიამოვნა ეს ახალი ამბავი.

— მისტერ ალექსი! — ისევ მომმართა მან, ნაზად ჩამავლო ხელი და კულისებში გამიყვანა, — მე ვიცი ფარულად ჩემს სიყვარულს ატარებთ გულში, დამიმტკიცეთ ერთგულება.

მე გავინაზე შემოთავაზებული წინადადების მოლოდინში.

— თქვენ უნდა დამარცხდეთ ჩემს ძმასთან!

ელდა მეცა. ჩემი მეგობრები დამიდგნენ თვალწინ.

იმ ფულით ხომ ორმოცი გადმოხვეწილი უნდა დაბრუნდეს სამშობლოში!?

— იმ ფულით ჩემი ძმა დოგის ჯიშის ძაღლის ყიდვას დამპირდა. თქვენი იმედი მაქვს, რაინდო!

საჭიდაო ფორმა ჩავიცვი და ჯორჯის პირისპირ დავდექი. ლოჟიდან ჩემი ანგელოზი შუაზე მაპობდა თვალებით. „არა. ვერ ვუღალატებ ორმოც ადამიანს", ვთქვი და ჯორჯი ქართული მოგვერდით დაბლა გავშხლართე. გაგვაშველეს თუ არა, ლოჟისკენ გავიხედე; ჯორჯის და იქ აღარ იყო. დათქმული წესის თანახმად კიდევ ორი ფალავანი უნდა დამემარცხებინა. მეორე ფალავანს კისრულით მოვუგრიხე კისერი და მესამე მოწინააღმდეგის მოლოდინში კუთხეში გავჩერდი.

მაყურებელი ტაშის გრიალით მოაცილებდა შავნიღბიან მოჭიდავეს, რომელსაც გრძელი, მოჭიდავისათვის უჩვეულო, ანაფორასავით ხალათი ეცვა, ხალიჩის ცენტრში ვუცდიდი თუ როდის გაიხდიდა ხალათს, მაგრამ ამაოდ. არბიტრმა ჭიდაობის დაწყების ნიშანი მოგვცა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. რა უნდა მექნა, უმალ წელში შევუვარდი, ჰაერში ავიტაცე და ვიგრძენი, რომ მოჭიდავის დაკუნთული ტანის მაგივრად ხელში ფაფუკი სხეული შემრჩა, ის იყო უნდა დამენარცხებინა, რომ მოწინააღმდეგის ბაგეები აჩურჩულდა ჩემს ყურთან:

— ჩემო ალექსი, ჩამიკარ, მაგრად ჩამიკარ, ძლივს ველირსე შენს ალერსს!

თვალთ დამიბნელდა. მივხვდი, მკერდს მეხუტა ჯორჯის და, რომლის შორიდან ნახვაც კი მაცახცახებდა ციებიანივით. თითქოს დამბლა დამეცა, არ ვიცოდი რა მექნა.

როდესაც წამიერი თავბრუდახვევისაგან გონს მოვედი, ხალიჩაზე ვიწექი ორივე ბეჭით, ჩემი სათაყვანებელი არსება კი თავს უკრავდა აღტყინებულ მაყურებელს და მოპოვებულ გამარჯვებას ზეიმობდა.

მეორე დღესვე მოველაპარაკეთ გემის კაპიტანს, ათამდე ცეცხლფარეში სჭირდებოდა. ჩვენი შრომის საფასურად იგი დაგვპირდა დღეში ერთხელ ორმოცივე ამხანაგის გამოკვებას.

— გაქნილი უსინდისო, — ამოიკვნესა ცოტა ხნის შემდეგ ლექსომ, — მე მზად ვიყავ მისთვის ოკეანეში გადავვარდნილიყავი, ის კი ძაღლის საყიდელი ფულისათვის ყალბ ალერსს მთავაზობდა. განა გავძლებდი ასეთ ხალხში? ერთი კი ვარ მადლობელი იმ ქალისა: მისმა საქციელმა დააჩქარა ჩემი დაბრუნება მშობლიურ მიწაზე.

ასე ამთავრებს თხრობას ალექსი ტაბუცაძის მეგობარი მაქსიმე რეხვიაშვილი. მინდა სინამდვილემ აჯობოს მთქმელის ფანტაზიას და სხვა მოწმეებსაც ვეძებ.

— შვილო, რაც გითხარი, ეს ყველაფერი იმ ექიმმა მიამბო, ალექსი რომ ხელში ჩააკვდა. — მიმარტავს იგი.

ვკითხულობ მთავარ ექიმს, მაგრამ სამი წელია, რაც გარდაიცვალაო, მეუბნებიან. მეორედ ვნახულობ ძია მაქსიმეს.

— თქვენი ორმოცი ამხანაგიდან იქნებ ვინმე შემთხვევით დაესწრო იმ ჭიდაობას? — ვეკითხები.

— პავლე გუგეშაშვილი თუ დაესწრებოდა, ის არცერთ შეჯიბრებას არ აცდენდა!

ვეძებ პავლეს ოჯახს, ვნახულობ იგონებენ, რომ ამ ოცი წლის წინ ლექსო ტაბუცაძე თამადად ყოფილა პავლეს ქელეხზე.

არავინ აღმოჩნდა „საკუთარი თვალით" მნახველი.

ნამდვილი ამბავი ლეგენდად დარჩა. დე, ასე იყოს! ხალხი ყველასათვის როდი იმეტებს ლეგენდას!

ა. ციბაძე

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04190